

ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი I შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე, მოქალაქეების ნაგო ქუთათელაძისა და ვეფხია ჭილაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქეების ნაგო ქუთათელაძისა და ვეფხია ჭილაძის წარმომადგენლის ფრიდონ გიორგაძის განცხადება /2012 წლის 02.04 Nგ-2670/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი I შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი I შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ნაგო ქუთათელაძესა და ვეფხია ჭილაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი I შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე /საერთო ფართობი 28,60 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,60 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1,80 კვ.მ./ მოქალაქეების ნაგო ქუთათელაძისა და ვეფხია ჭილაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე